

ინტერნეტით დეზინფორმაციის გავრცელებაზე რეაგირების პრობლემური
ასპექტები საქართველოში

სალომე ჩაჩუა

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

საჯარო სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ერემაძე, ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2021

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე ჩაჩუა

4.07.2021

აბსტრაქტი

საქართველოში დეზინფორმაციის გავრცელება მთელი მსოფლიოს მაგავსად დამაზიანებელი შედეგების მომტანია, განსაკუთრებით კი ონლაინ საშუალებებით გავრცელებული დეზინფორმაცია, რადგან იგი ზოგადად ძალიან დიდ საფრთხეს უქმნის დემოკრატიული პროცესების სწორად წარმართვას, იწვევს დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი ნდობის შემცირებას, საზოგადოების პოლარიზაციას, პოლიტიკურ თუ სოციალურ საკითხებზე დამახინჯებული აზროვნების ჩამოყალიბებას, რაც საბოლოო ჯამში აფერხებს პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ნორმალურ ქრილში წარმართვას.

კვლევის პროცესში აღწერით-მიმოხილვითი მეთოდი დაგვეხმარა განგვემარტა დეზინფორმაცია, ერთმანეთთან შეგვედარებინა დეზინფორმაციასთან შინაარსობრივად დაკავშირებული ტერმინები და განგვემარტა მათ შორის არსებული თვისებრივი სხვაობები.

იგივე მეთოდის საშუალებებით ჩვენ მიმოვიხილეთ ევროკავშირის ქვეყნებსა და ამერიკაში გავრცელებული ყალბ ინფორმაციათა ხასიათი, მათი დამაზიანებელი ეფექტები კონკრეტული პოლიტიკური სიტუაციებისას, ევროკავშირის მიერ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯები პრობლემასთან საბრძოლველად, ასევე იმ ქვეყნების მაგალითის სახით ჩვენება, სადაც ბრძოლის არათანაზომიერი საშუალებები გამოიყენეს. ასევე იგივე მეთოდი დაგვეხმარა ნათლად გვეჩვენებინა ქართული საკანონმდებლო და პოლიტიკურ სივრცეში ამ კუთხით გადადგმული ნაბიჯები.

ისტორიულ შედარებითი მეთოდი დაგვეხმარა წარმოგვედგინა როგორ და სად წარმოიშვა დეზინფორმაცია, შემდგომ როგორ განვითარდა და დაიხვეწა მისი გავრცელების საშუალებები, კონკრეტულად რომელი ქვეყნის სახელმწიფოსთანაა დაკავშირებული დეზინფორმაციული ომის მეთოდები.

შეფასების მეთოდი დაგვეხმარა დადგვედგინა, რომ მიუხედავად უდიდესი საფრთხისა ჩვენი კანონმდებლობა არასრულყოფილია და ვერ პასუხობს ევროპულ სტანდარტებს დეზინფორმაციასთან საბრძოლველად.

სამომავლო პერსპექტივაში უმჯობესი იქნება თუ სახელმწიფო იზრუნებს სპეციალური კანონმდებლობის შექმნაზე, რომელიც უშუალოდ მოაწესრიგებს ონლაინ გავრცელებულ დეზინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საძიებო სიტყვები: დეზინფორმაცია, მისინფორმაცია, პროპაგანდა

Abstract

Dissemination of disinformation in Georgia has similar damaging consequences to the whole world, especially disinformation spread through online media, because it generally poses a great threat to the proper conduct of democratic processes, leads to a decrease in trust in democratic

institutions,polarization of the society,formation of distorted thinking on political or social issues,which ultimately hinders the normal conduct of political and social life.

In the research process,the descriptive-reviw method helped us to explain the misinformation,to compare the terms related to the disinformation and to explain the qualitative differences between them.

Using the same method,we reviewed the nature of the false information disseminated in EU countries and the United States,its detrimental effects in specific political situations,the positive steps taken by the EU to combat the problem, and the example of countries where disproportionate means of combat were used.The same method also helped us to clearly show the steps taken in this direction in the Georgian legislative and political space.

The historical comparative method helped us to imagine how and where disinformation originated,how it was further developed and the means of its dissemination were developed,specifically the country of which the methods of disinformation warfare are related to.

The assessment method helped us to determine that despite the greatest danger,our legislation is imperfect and does not meet European standarts to combat disinformation.

In the future,it would be better if the state took care of creating special legislation that would directly regulate issues related to online disinformation.

Key words:disinformation,misinformation,propaganda